ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №48 სხდომის ოქმი

2011 წლის 24 თებერვალი **ქ. თბილისი**

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, ზურაბ თავართქილაძის, მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის, გიორგი ხიმშიაშვილის, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, დავით მიქელაძის და გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, ივანე მურუსიძის უფლებამოსილების ცნობა.
2. ასოცირებული პროფესორის პაატა ბუხრაშვილის მიერ მომზადებული პროექტის - საქართველოს ეთნოგრაფიული ლექსიკონი (საუნივერსიტეტო ვებ-პორტალი) - განხილვა და დამტკიცება;
3. ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში სიმულაციური ცენტრის დაფუძნების საკითხის განხილვა და „ბიზნესის პრაქტიკის სატრენინგო ფირმის“ პროგრამის განხილვა და დამტკიცება;
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ავთანდილ სულაბერიძის განცხადების განხილვა გიორგი წულაძის მიერ შესრულებული ნაშრომის- „მსოფლიო დემოგრაფიული განვითარება“ გამოცემასთან დაკავშირებით;
5. ზოოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო - კვლევით პროგრამაში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
6. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორის, ქეთევან ჯაშის განცხადების განხილვა მარიან ლედერერის წიგნის „თარგმნის როლი დღეს“ გამოცემის საკითხთან დაკავშირებით;

7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგში ცვლილების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
8. ასისტენტ პროფესორ ბელა ჯაფოშვილის წერილის განხილვა საერთაშორისო პროექტში- „ზღვის მნიშვნელოვანი ფილტრების კვლევა და აღდგენა“ უნივერსიტეტის გაწევრიანებასთან დაკავშირებით.
9. ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუტში განათლების კვლევების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის, ბოტანიკური ბაღების სტრატეგიისა და მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის, მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტში საბჭოთა კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსებზე შემოსული განცხადებების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
10. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო და სასერტიფიკატო პროგრამების დამტკიცება;
11. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების და კრედიტების მინიჭების წესის დამტკიცება;
12. ენტომოლოგიური კოლექციის საკითხის განხილვა;
13. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე ტრენინგ-ცენტრის დაარსების, მისი დებულების საკითხის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
14. ბიზნესის ფაკულტეტის ოთხი საბაკალავრო და სამი სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება;
15. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა;
16. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტიდან გეომეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის საინჟინრო ფაკულტეტზე გადატანა და ამავე ფაკულტეტიდან ბიზნესის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის გადატანა ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური მართვის კუთხით;

17. დოქტორანტ ნინო ჩხეიძისათვის სადისერტაციო საბჭოს შექმნის საკითხის განხილვა და დამტკიცება;
18. სოციალური კვლევების ლაბორატორიის პროგრამის განხილვა და დამტკიცება;
19. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ზოგადი გამოყენებითი ენტომოლოგიის სამაგისტრო პროგრამისა და ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის განხილვა და დამტკიცება;
20. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული აუტიზმის ცენტრის დირექტორის მოთხოვნა ქეთევან გოგბერაშვილის მონოგრაფიის "დედის მზრუნველობის დეფიციტის გავლენა ბავშვის განვითარებაზე, მის ქცევასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე" გამოქვეყნებასთან დაკავშირებით;
21. მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტში „მეხსიერების კვლევის ცენტრის" შექმნის საკითხის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
22. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე: სადოქტორო პროგრამებზე და საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონული კვლევების მიმართულებაზე მსმენელების ჩარიცხვის საკითხის განხილვა, ბორის ვუძისათვის სადისერტაციო ნაშრომისათვის რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გიორგი ბახტაძე;
5. მალხაზ მაყაშვილი;
6. გიორგი მენაბდე;
7. გიგა ზედანია;
8. ლევან ხეთაგური;

9. ზურაბ თავართქილაძე;

10.გიორგი ხიმშიაშვილი;

11.დავით მიქელაძე;

12.ივანე მურუსიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

აკადემიურმა საბჭომ რიგგარეშე საკითხად განიხილა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ გიგი თევზაძის მოხსენება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო ფაკულტეტსა და ლუვენის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ, უნივერსიტეტებს აქვთ სურვილი, სასწავლო პროცესის ფარგლებში მოხდეს დოქტორანტების ერთი სასწავლო სემესტრით გაცვლა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დააფინანსებს ლუვენის უნივერსიტეტის ერთ დოქტორანტს ერთი სემესტრით და ყოველთვიურად აუნაზღაურებს 1333 ლარს, ხოლო ლუვენის უნივერსიტეტი იღებს ვადებულებას ერთი სემესტრით დაფინანსოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი დოქტორანტი. ასევე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიური საბჭოს წევრებს წარუდგინა 2010 წლის უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების პროგრამული ანგარიში. აკადემიური საბჭო დაეთანხმა პროფესორ გიგი თევზაძის ინიციატივას უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ. ასევე აკადემიურმა საბჭომ მოიწონა 2010 წლის უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი ასიგნებების პროგრამული ანგარიში.

2011 წლის 24 თებერვლის აკადემიური საბჭოს №48 სხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს** - ზურაბ თავართქილაძე თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, გიორგი ხიმშიაშვილი ფუნდამენტალური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი და ზურაბ თავართქილაძე გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი შევიდნენ აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ამ აკადემიური საბჭოს ვადით.
2. **დადგინდეს** - ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი დავით მიქელაძე უნივერსიტეტის წესდების 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ამ ეტაპზე შევიდეს ექვსი თვის ვადით;
3. **დადგინდეს** - 2010 წლის 8 დეკემბრის უნივერსიტეტის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის არჩევნების საფუძველზე პროფესორ ივანე მურუსიძის დირექტორობის ვადა განისაზღვროს არჩევიდან 3 წლის ვადით.

4. **დადგინდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, დამტკიცებულ იქნას პროფესორ პაატა ბუხრაშვილის მიერ მომზადებული პროექტი „საქართველოს ეთნოგრაფიული ლექსიკონი“;
5. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას ბიზნესის ფაკულტეტის ინიციატივა ფაკულტეტის ბაზაზე სიმულაციური ცენტრის შექმნის შესახებ, ასევე დამტკიცდეს ბიზნესის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი „ბიზნესის პრაქტიკის სატრენინგო ფირმის“ პროგრამა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამას განახორციელებს ბიზნესის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრი;

6. **დადგინდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტის გამომცემლობამ უზრუნველყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლის, გიორგი წულაძის მიერ შესრულებული ნაშრომის - „მსოფლიო დემოგრაფიული განვითარება“ გამოცემა;
7. **დადგინდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს ზოოლოგიის ინსტიტუტის კვლევითი პროგრამა „ზოოლოგიური კვლევები საქართველოში” სახეცვლილი სახით.
8. **დადგინდეს** - უარი ეთქვას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორს, ქეთევან ჯაშს მარიან ლედერერის წიგნის ,,თარგმნის როლი დღეს“ თარგმნისა და გამოცემის დაფინანსებაზე.
9. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას უნივერსიტეტის საშტატო განრიგში ცვლილების განხორციელება და საკითხი დასამტკიცებლად განიხილოს წარმომადგენლობითმა საბჭომ;
10. **დადგინდეს** მოწონებულ იქნას ასისტენტ-პროფესორ ბელა ჯაფოშვილის ინიციატივა პროექტში „ზღვის მნიშვნელოვანი ფილტრების კვლევა და აღდგენა“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობის შესახებ, რისთვისაც დაევალოს ადმინისტრაციას ფინანსური რესურსების მოძიება.
11. **დადგინდეს** - ცოდნის ეკონომიკის მიმართულებით გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსში მონაწილე კანდიდატურებიდან შერჩეულ იქნას გიორგი გახელაძე და გაუფორმდეს შრომითი კონტრაქტი 3 წლის ვადით. ბოტანიკური ბაღების სტრატეგიისა და მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შერჩეულ იქნას

შალვა სიხარულიძე და გაუფორმდეს შრომითი ხელშეკრულება 3 წლის ვადით, მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტში საბჭოთა კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შერჩეულ იქნას **ბლაუველტი ტიმოთი კევინ** და გაუფორმდეს შრომითი ხელშეკრულება 3 წლის ვადით.

12. **დადგინდეს-** დამტკიცდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი საბაკალავრო პროგრამები: 1. ბიოლოგია major; 2.ბიოლოგია minor; 3.ეკოლოგია major; 4.ეკოლოგია minor. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს ასევე ამავე ფაკულტეტის იაკობ გოგებაშვილის საგანმანათლებლო ცენტრის ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი და საოჯახო აღმზრდელის სასერტიფიკატო პროგრამები.
13. **დადგინდეს-** დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების და კრედიტების მინიჭების ახალი წესი და გაუქმდეს 2011 წლის 24 თებერვლამდე დამტკიცებული წესი თავისი ცვლილებებით.
14. **დადგინდეს-** ზოოლოგიის ინსტიტუტთან არსებული ენტომოლოგიური კოლექცია გახდეს საუნივერსიტეტო კოლექცია, კოლექციის კურატორი უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაინიშნოს ზოოლოგიის ინსტიტუტთან შეთანხმებით.
15. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას ბიზნესის ფაკულტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფაკულტეტზე „ტრენინგ-ცენტრის“ დაარსების შესახებ და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
16. **დადგინდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცდეს ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი პროგრამები: 1. ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) (major) 2.ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე) (major) 3. ბიზნესის

ადმინისტრირება (ტურიზმის მენეჯმენტი) (major) 4. ბიზნესის ადმინისტრირება (სპორტის მენეჯმენტი) (major) 5. დაზღვევა (სამაგისტრო პროგრამა) 6. ჯანდაცვის სფეროს მენეჯმენტი (სამაგისტრო პროგრამა) 7. ბიზნესის ადმინისტრირება (სამაგისტრო პროგრამა).ეთხოვოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდეგ აკადემიურ საბჭოზე წრმოადგინოს ბიზნესის ფაკულტეტის ის პროგრამები რომლების შეიცავდნენე ხარვეზებს.

17. **დადგინდეს**- 2010 წლის 18 ივნისის №22 წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმით დამტკიცებული მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დებულების 6.5 მუხლიდან ამოღებულ იქნას „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი“ და პუნქტი 6.5 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „ ტელე-კინო-სამსახიობო ხელოვნების ინკლუზიური სწავლების საყმაწვილო ცენტრი *ართ ჰოლი“.*
18. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტიდან გეომეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გადავიდეს საინჟინრო ფაკულტეტზე, ხოლო ბიზნესის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გადავიდეს ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური მართვის კუთხით, ინგლისურენოვანი ბიზნესის პროგრამა კი დარჩეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე.
19. **დამტკიცდეს** - ასტროფიზიკის მიმართულებით დოქტორანტ **ნინო ჩხეიძისათვის** დაინიშნონ რეცენზენტები შემდეგი შემადგენლობით: **ანდრია როგავა**- ასოცირებული პროფესორი ასტროფიზიკის მიმართულებით, **გიორგი დალაქიშვილი** - თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის მკვლევარი, **ვაჟა ბერეჟიანი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: **ზურაბ თავართქილაძე** სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი

ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის და კოსმოლოგიის მიმართულებით, **ალექსანდრე ნერსესიანი** - სრული პროფესორი კონდესირებულ გარემოთა ფიზიკის მიმართულებით, **გიორგი ხიმშიაშვილი** - სრული პროფესორი მათემატიკის მიმართულებით, **ანდრია როგავა** - ასოცირებული პროფესორი ასტროფიზიკის მიმართულებით, **გიორგი დალაქიშვილი** _ თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის მკვლევარი, ვაჟა ბერეჟიანი _ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დავით შაფაქიძე - ასოცირებული მკვლევარი.

20. **დამტკიცდეს -** სოციალური კვლევების ლაბორატორიის მიერ წარმოდგენილი კვლევიდან „საქართველოს საზოგადოებრივი ღირებულებების სისტემა, თვითაღქმის და ცხოვრების წესის დინამიკის/ ცვლილების მონიტორინგი“ დამტკიცდეს წინარე კვლევები, მათი საუნივერსიტეტო ექსპერტიზის შემდგომ დადებითი შეფასების შემთხვევაში დამტკიცდეს პროექტი სრულად.
21. **დადგინდეს-** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციისა და შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის **შემდეგი სამაგისტრო პროგრამები:** ზოგადი გამოყენებითი ენტომოლოგიის და ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა.
22. **დადგინდეს -** დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დაუგზავნოს უცხოელ ექსპერტებს ქეთევან გოგბერაშვილის მონოგრაფიის “დედის მზრუნველობის დეფიციტის გავლენა ბავშვის განვითარებაზე, მის ქცევასა და ჯანამრთელობის მდგომარეობაზე“ რეზიუმე და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მონოგრაფიის გამოცემასთან დაკავშირებული დასკვნა.
23. **დადგინდეს -** შეიქმნას მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტში „მეხსიერების კვლევის ცენტრი” და საკითხი წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

24. დადგინდეს- მიენიჭოთ მსმენელის სტატუსი დოქტორანტურაში ოფიციალურ ჩარიცხვამდე შემდეგ პირებს: ბორის ვოდსი - პოლიტიკური მეცნიერება, გორდონ ჰიუსტონი - კულტურული ასტრონომია და არქეოასტრონომია, კარლოს ტრენარი - კულტურული ასტრონომია და არქეოასტრონომია, ასევე მიენიჭოთ მსმენელის სტატუსი საერთაშორისო ურთიერთობების და რეგიონული კვლევები: ევროპა დაკავკასია სამაგისტრო პროგრამზე შემდეგ პირებს: 1.გიტა ელიბექიანი 2. ორხან გაფაროვი 3. ანჟელიკა შირიევა 4. ხარონ მისერბიევი 5. რუსლან ცუმარიევი 6. ბულატ (რუსლან) ბეტალგირი 7. სარმად ნიჰათ ბერამ ალ-დაღესტანი 8. ბაიზატ აბაკაროვა 9. მარატ ილიასოვი 10. ისლამ გერგოკოვი 11. დიმიტრი რიდკოვი 12. ლარისა დოროგოვა 13. ნინო ოქროპირძე 14. ფიდან აივაზოვა 15. ანზორ ძეიტოვი 16. კემრან კორნაკაევი 17. მაგომედ დუდაევი.

25. დადგინდეს - სსიპ განათლების ხარისხის გავნითარების ეროვნული ცენტრის მიერ ბორის ბუძის საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებისა და მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის დოქტორანტურის საფეხურზე ჩარიცხვის შემდგომ მისი სადისერტაციო ნაშრომისა და დისერტაციის დაცვისათვის შეიქმნას შემდეგი კომისია: რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ნოდია- უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დავით დარჩიაშვილი - უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მაჩიეი შპუნარი- დოქტორი, პოლონეთის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ნოდია - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, გიგი თევზაძე- სადისერტაციო საბჭოს წევრი, ზურაბ დავითაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი - სადისერტაციო საბჭოს წევრი, დავით აფრასიძე - უნივერსიტეტის სრული პროფესორი,სათათბირო ხმის უფლებით სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში.

26. ***დადგინდეს*** **-** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტსა და ლუვენის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტს შორის გაფორმდეს

ურთიერთთანამშრომლობის მემეორანდუმი , რომლის მიხედვით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთი სემესტრის ვადით თვეში 1333 ლარის ფარგლებში დააფინანსოს ლუვენის უნივერსიტეტის ერთი დოქტორანტი და საკითხი ეცნობოს წარმომადგენლობით საბჭოს.

27. ***დადგინდეს*** - მოიწონებულ იქნას 2010 წლის უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი ასიგნებების პროგრამული და ფინანსური ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარე
გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი
მაია თევზაძე